

დამტკიცებულია
ს(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის
დირექტორის 2018 წლის 12 ივნისის
№55 ბრძანებით

სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

რკინიგზის ელექტრო მოძრავე შემადგენლობა

პროგრამის ხელმძღვანელი: ბესიკ გუჯაბიძე

საკონტაქტო ინფორმაცია: ელ ფოსტა: beso.gujabidze@railway.ge
მობ. ტელ.: 591 19 10 51

თბილისი
2018 წ.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

1. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება „რკინიგზის ელექტრო მოძრავი შემადგენლობა“
2. სარეგისტრაციო ნომერი 07117-3
3. მისანიჭებელი კვალიფიკაცია/კვალიფიკაციები მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია სარკინიგზო ძრავიანი ტრანსპორტში/ Fourth Level of Professional Qualification in Rail Motor vehicles.
4. მიზანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მოამზადოს სარკინიგზო ძრავიანი ტრანსპორტის სპეციალისტი, რომლის საქმიანობის სფეროა რკინიგზის ელექტრო მოძრავი შემადგენლობის მომსახურება.
5. დაშვების წინაპირობა/წინაპირობები

სრული ზოგადი განათლება.

6. კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები

მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „რკინიგზის ელექტრო მოძრავი შემადგენლობა“ გავლის შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს ნებისმიერ სახელმწიფო ან კერძო ორგანიზაციაში, რომელთა საქმიანობაც დაკავშირებული იქნება სარკინიგზო ძრავიანი ტრანსპორტის მომსახურებასთან. კერძოდ, რკინიგზაში, მეტროპოლიტენში, სალოკომოტივო დეპოსა და ელმავალ და ვაგონ მშენებელ ქარხანებში.

7. სტრუქტურა და მოდულები

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 5 ზოგად მოდულს 15 კრედიტის ოდენობით და 8 საერთო პროფესიულ სავალდებულო მოდულს 25 კრედიტის ოდენობით, ხოლო სპეციალობის ასათვისებლად განკუთვნილია 50 კრედიტი;

კვალიფიკაციის მინიჭებისათვის პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს ჯამურად 90 კრედიტი. სწავლების ხანგრძლივობაა 20 თვე.

მოდულის, ქართული ენა A2 (15 კრედიტი) გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით.

ზოგადი მოდულები			
№	მოდულის დასახელება	მოდულზე დაშვების წინაპირობა	კრედიტი
1.	ინტერპერსონალური კომუნიკაცია	საბაზო განათლება	3
2.	ინგლისური ენა	საბაზო განათლება	5
3.	მეწარმეობა 2	საბაზო განათლება	2
4.	რაოდენობრივი წიგნიერება	საბაზო განათლება	2
5.	ინფორმაციული წიგნიერება 1	საბაზო განათლება	3
საერთო პროფესიული სავალდებულო მოდულები			
№	მოდულის დასახელება	მოდულზე დაშვების წინაპირობა	კრედიტი
6.	საინჟინრო გრაფიკა	საბაზო განათლება	3
7.	მასალათმცოდნეობის საფუძვლები	სრული ზოგადი განათლება	3
8.	რკინიგზების ზოგადი კურსი	საბაზო განათლება	3
9.	ზოგადი ელექტროტექნიკა	საბაზო განათლება	3
10.	სარკინიგზო ტრანსპორტზე უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა	საბაზო განათლება	6
11.	საზეინკლო ოპერაციების შესრულება	საბაზო განათლება	2
12.	გაცნობითი პრაქტიკა სარკინიგზო ძრავიან ტრანსპორტში	საბაზო განათლება	2
13.	მეტროლოგია	საბაზო განათლება	3
სპეციალობის მოდულები - რკინიგზის ელექტრო მოძრავი შემადგენლობა			
№	მოდულის დასახელება	მოდულზე დაშვების წინაპირობა	კრედიტი
14.	მოძრავი შემადგენლობის წევის ძრავისა და დამხმარე მანქანების შემოწმება/შეკეთება	სრული ზოგადი განათლება	6
15.	მოძრავი შემადგენლობის მექანიკური ნაწილის შემოწმება/შეკეთება	მოძრავი შემადგენლობის წევის ძრავისა და დამხმარე მანქანების შემოწმება/ შეკეთება.	6
16.	მოძრავი შემადგენლობის პნევმატურ-სამუხრუჭე მოწყობილობების კვების სისტემის შემოწმება/შეკეთება	სრული ზოგადი განათლება	6
17.	მოძრავი შემადგენლობის პნევმატურ-სამუხრუჭე სისტემის შემოწმება/შეკეთება	სრული ზოგადი განათლება	6
18.	მოძრავი შემადგენლობის სახურავზე განთავსებული ელექტრო და სხვა მოწყობილობების შემოწმება/შეკეთება	სრული ზოგადი განათლება	5

19.	მოდრავი შემადგენლობის მაღალი ძაბვის აპარატურის შემოწმება/შეკეთება	სრული ზოგადი განათლება	5
20.	მოდრავი შემადგენლობის დაბალი ძაბვის აპარატურის შემოწმება/შეკეთება	სრული ზოგადი განათლება	4
21.	მაღალი და დაბალი ძაბვის აპარატურის და სალოკომოტივო სიგნალიზაციის სქემების გამართვა	სრული ზოგადი განათლება	2
22.	მოდრავი შემადგენლობის დიზელის ძრავის და ჰიდრომექანიკური რედუქტორის შემოწმება-შეკეთება	სრული ზოგადი განათლება	6
23.	მოდრავი შემადგენლობის ძირითადი აგრეგატები და დიზელ-გენერატორის შემოწმება-შეკეთება	სრული ზოგადი განათლება	4

8. მისანიჭებელი კვალიფიკაციის/კვალიფიკაციების აღწერა-სწავლის შედეგები

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- მართოს ინფორმაცია პროფესიის შესახებ;
- გამოხაზოს დეტალები და სქემები ზომებსა და მასშტაბში;
- გაიანგარიშოს ელექტრომოწობილობებისა და დანადგარების ძირითადი პარამეტრები;
- უზრუნველყოს უსაფრთხო სამუშაო გარემო სარკინიგზო ტრანსპორტის ობიექტებზე მუშაობისას;
- შეასრულოს საზეინკლო სამუშაოები.
- შეამოწმოს/შეაკეთოს მოძრავი შემადგენლობის მექანიკური ნაწილი;
- შეამოწმოს/შეაკეთოს მოძრავი შემადგენლობის წვევის ძრავა და დამხმარე მანქანები;
- შეამოწმოს/შეაკეთოს პნევმატურ-სამუხრუჭე მოწყობილობების კვების სისტემა;
- შეამოწმოს/შეაკეთოს პნევმატურ-სამუხრუჭე სისტემა;
- შეამოწმოს/შეაკეთოს სახურავზე განთავსებული ელექტრო და სხვა მოწყობილობები;
- შეამოწმოს/შეაკეთოს მოძრავი შემადგენლობის მაღალი ძაბვის აპარატურა;
- შეამოწმოს/შეაკეთოს მოძრავი შემადგენლობის დაბალი ძაბვის აპარატურა;
- შეამოწმოს/შეაკეთოს მოძრავი შემადგენლობის დიზელის ძრავა და ჰიდრომექანიკური რედუქტორი;
- შეამოწმოს/შეაკეთოს მოძრავი შემადგენლობის ძირითადი აგრეგატები და დიზელ-გენერატორი;
- გამოიყენოს მაღალი და დაბალი ძაბვის აპარატურის და სალოკომოტივო სიგნალიზაციის სქემები.

9. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისთვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50%-ზე მეტის რეალურ სამუშაო გარემოში მიღწევა.

10. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

კრედიტის მინიჭება ხორციელდება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე.

სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:

ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით (ჩათვლა);

ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურება განათლების და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით;

გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

ჩარჩო დოკუმენტით გათვალისწინებული ზოგადი და საერთო პროფესიული სავალდებულო მოდულების გავლის შემდეგ ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი მოახდენს თითოეული პროფესიული სტუდენტის განმავითარებელ შეფასებას.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

11. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება

პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისთვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50%-ზე მეტი რეალურ სამუშაო გარემოში მიიღწევა, კვალიფიკაციის მინიჭების დამატებითი პირობაა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.

12. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით, ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-11 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

13. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები

- საქართველოს კანონი - „პროფესიული განათლების შესახებ“
- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო
- პროფესიული სტანდარტი/სტანდარტი:

მოძრავი შემადგენლობის რემონტის ზეინკალი;

14. საგანმანათლებლო დაწესებულების პარტნიორი ორგანიზაციები, რომლებთანაც ხელშეკრულების მეშვეობით უზრუნველყოფილია პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება:

სს - საქართველოს რკინიგზა.


დანართი:

- 1.სასწავლო გეგმა
- 2.მოდულები
- 3.პროგრამის განმახორციელებელ პირთა სია

პროგრამის ხელმძღვანელი:

 ბესიკ გუჯაბიძე

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის
ხარისხის მართვის მენეჯერი

 მანანა მოისწრაფიშვილი

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის
დირექტორი

 დავით საზანდრიშვილი
